პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 186 (4956)

1973 წ. 20 სექტემბერი, ხუთშაბათი, ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

შუგუროვა კვლავ სწორუპოვარი იყო

მოსკოვი, 18 სექტემბერი. „ზოლკოლნიკის" სპორტის სასახლეში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით მრავალჭიდში ომსკელი სტუდენტის გ. შუგუროვას წარმატების შესახებ. ასპარეზობის ბოლო დღეს მოეწყო შეჯიბრება საგნებით ვარჯიშში. 19 წლის ომსკელი გოგონა კვლავ ძლიერად გამოვიდა და პირველი ადგილები არავის დაუთმო გურზებით (18,9 ქ.), ლენტით (19,55) და რგოლით (19,7) ვარჯიშში. მხოლოდ ბურთით ვარჯიშში მოეცარა ხელი შესანიშნავ სპორტსმენს. მას ორჯერ „გაექცა" ბურთი და 19,4 ქულა ხვდა. აქ პირველი იყო სტავროპოლელი ნ. კრაშენინიკოვა — 19,6.

ჯგუფურ ვარჯიშში პირველნი იყვნენ რსფსრ-ს წარმომადგენლები — 37,05. II ადგილი დაიკავეს ლენინგრადის (36,95), III — ბელორუსიის (36,2) სპორტსმენებმა.



სურათზე: შუგუროვა ლენტით ვარჯიშის დროს.

თბილისი — ლიუბლიანა — მეგობრობის ხიდი

თბილისი და სლოვენიის (იუგოსლავია) დედაქალაქი ლიუბლიანა კარგა ხანია დაძმობილებულნი არიან, ამ ორი ქალაქის ძმობაში ხელბურთელებსაც შეაქვთ წვლილი. თბილისელი ხელბურთელი ვაჟები ლიუბლიანას პირველად შარშანწინ შემოდგომაზე ეწვივნენ, შარშან კი ჩვენთან იუგოსლაველები ჩამოვიდნენ საპასუხო ვიზიტით.

ახლახან თბილისელი ხელბურთელები ხელმეორედ ეწვივნენ თავიანთ ძველ მეგობრებს. წლევანდელი ტურნეს შესახებ „ლელოს" კორესპონდენტს ესაუბრა თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდის უფროსი მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, ჯ. ბაგრატიონი.

„ლელო" ინტერვიუ

● „ლელოს" მკითხველებმა არაფერი იციან იუგოსლავიაში თბილისელ ხელბურთელთა ტურნეს შესახებ. რამდენი მატჩი გამართეთ და რა შედეგებით დაამთავრეთ ეს შეხვედრები?

— სულ ხუთი მატჩი გავმართეთ. აქედან ოთხი მოვიგეთ და ერთი წავაგეთ. თავდაპირველად ვეთამაშეთ ლიუბლიანის „სლოვანს", რომელიც დავამარცხეთ ანგარიშით 19:17. მერე სევნიცაში დავიმარჯვეთ ამავე სახელწოდების ადგილობრივ გუნდთან — 21:18. განმეორებითი შეხვედრა ლიუბლიანის „სლოვანთან" წავაგეთ — 18:23, დანარჩენი ორი მატჩი კი მოვიგეთ კოზინის „იადრანთან" (34:29) და ტრიესტის „ტრიესტთან" (29:21). შედეგებით კმაყოფილი ვართ. ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენი გუნდი იუგოსლავიაში შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრა. არ წამოსულან მეკარე ჯემალ ბარამიძე, ალექსანდრე ანპილოგოვი და ამბერკი ტაბიძე. ამ დროს ისინი მონაწილეობდნენ რუმინეთის ქალაქ ტიმოშოარაში გამართულ იუნიორთა ტრადიციულ ტურნირში, რომელიც „მეგობრობის" სახელით არის ცნობილი. როგორც შემდეგ გავიგეთ, სამივე მოთამაშემ წარმატებით დაიცვა საბჭოთა ნაკრების ღირსება. რუმინეთში ამ ტურნირზე სამსაჯოდ მიწვეული იყო ქართველი არბიტრი თამაზ ჩხარტიშვილი. მან თქვა, რომ ეს ტურნირი რიგით მეხუთე იყო და საბჭოთა იუნიორების ნაკრებმა მეხუთედ მოიპოვა პირველობა. ბუნებრივია, სამი ახალგაზრდა და ნიჭიერი ხელბურთელის არყოფნამ იუგოსლავიაში ჩვენი ხელბურთელების თამაშზე გარკვეული გავლენა მოახდინა, მაგრამ ბიჭებმა მაინც იმარჯვეს და მხოლოდ ერთ მატჩში დათმეს პოზიციები.

● განსაკუთრებით ვინ ისახელა თავი?

— საერთოდ ყველამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ განსაკუთრებით მარჯვედ ითამაშა ვახტანგ ბერიაშვილმა. იგი გუნდის სული და გული იყო. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი ბიჭების მიერ გატანილი 121 გოლიდან 42 ვახტანგ ბერიაშვილზე მოდის. მისმა ძმამ გიორგიმ მატჩებში 17 გოლი გაიტანა, ვლადიმერ ჭყონიამ — 12, ჯემალ ცერცვაძემ — 11, იმედო ფხაკაძემ — 9, ზაურ ბუნაძემ, ჯიმშერ დვალიშვილმა და გია ნარიმანიძემ — 7-7, ანზორ ექსეულიძემ — 5, მამუკა სხიერელმა და ზაზა დოლიძემ — 2-2.

● როგორც ვიცით, ქართველი სპორტსმენები იუგოსლავიაში მეგობრობისა და ძმობის მისიით იყვნენ ჩასული. რაში გპოვა ყოველივე ამან გამოხატულება?

— ქართველი ათლეტები, მათ შორის ხელბურთელები, იუგოსლავიაში არაერთხელ ყოფილან და ამ ქვეყნის სპორტსმენებთან დიდი ხნის მეგობრობაც აკავშირებთ, ლიუბლიანასთან ჩვენი ქალაქის მეგობრობას სამი წლის ისტორია აქვს. ამჟამად ჩვენს სპორტულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა თბილისის ოქტომბრის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ნუგზარ რუხაძე. იგი ლიუბლიანის სკუპშჩინის თავმჯდომარე, მიხა კოშაკის, ქალაქის კომუნალური მეურნეობის მესვეურ იანეს ურბანიას და ლიუბლიანის კომუნისტთა კავშირის პირველი მდივნის ხაფნერის ხშირი სტუმარი იყო. სტუმარ-მასპინძლებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება. ხაფნერმა დიდი სიამოვნებით მიიღო თბილისის საქალაქო საბჭოს მოწვევა, რომ ჩვენს ქალაქში ჩამოვიდეს 1974 წლის გაზაფხულზე. ლიუბლიანის სკუპშჩინის თავმჯდომარემ კოშაკმა ჩვენს დელეგაციას საზეიმო მიღება გაუმართა. იუგოსლაველმა მეგობრებმა დაგვათვალიერებინეს საკურორტო ქალაქი პორტოროჟი, რომელიც ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, ვიყავით ბლედის ტბაზე, საკურორტო ქალაქ პირანოში, ლიუბლიანის პიონერთა ბანაკში. იუგოსლავიაში ათ დღეს დავრჩით. ყოველი დღე მეგობრობისა და ძმობის დემონსტრაცია იყო. ლიუბლიანის ხელბურთელთა კლუბის „სლოვანის" სპორტსმენები თბილისს 1974 წლის აგვისტოში ეწვევიან.

იუგოსლაველებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ჩვენს მიერ ჩატანილი ფოტოგამოფენა „თბილისი გუშინ, დღეს და ხვალ", რომელიც ლიუბლიანის სკუპშჩინის შენობაში გაიხსნა. იქვე ადგილობრივი ტელევიზიისა და პრესის მუშაკებისთვის გაიმართა სახელდახელო პრეს-კონფერენცია, რომელმაც თითქმის ორ საათს გასტანა. ტელევიზიის მუშაკებს ჩვენ გადავეცით დოკუმენტური ფილმი „თბილისი", რომელსაც სექტემბრის დამლევს უჩვენებენ ლიუბლიანელ ტელემაყურებლებს. ჩვენი სპორტული დელეგაციის მოგზაურობას ყოველდღიურად აშუქებდნენ ადგილობრივი გაზეთები „დელო" და „დნევნიკი", ასე რომ, მეგობრობისა და ძმობის ხიდი იმათთანაც გაიდო, ვისაც უშუალოდ ჩვენთან კავშირის საშუალება არ ჰქონდა.

● სპორტული დაოსტატებისა და გამოცდილების შეძენის მხრივ ამ მოგზაურობამ ალბათ კარგი სამსახური გაგიწიათ. რა დონეზეა ახლა ჩვენი გუნდი?

— ამხანაგურმა მატჩებმა გვიჩვენა, რაში ვართ ძლიერი და რაში მოვიკოჭლებთ. მოგეხსენებათ, 1974 წლის რიგით XIII საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე უკვე წლეულს, 26 ოქტომბერს იწყება თბილისში. დარჩენილი დრო სწორედ ხარვეზების აღმოფხვრას უნდა მოვანდომოთ, რათა ჩემპიონატს მომზადებული შევხვდეთ. თბილისში გაიმართება I წრის ყველა შეხვედრა. ჩვენთვის უკვე ცნობილია თამაშების კალენდარი. 26 ოქტომბერს ვხვდებით ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდს, 27-ში — მოსკოვის „კუნცევოს", 28-ში — ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს, 30-ში — კიევის არმიელთა სპორტკლუბის გუნდს, 31-ში — ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის", 2 ნოემბერს — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს, 3-ში — ცსკა-ს. ჩვენი მთავარი ამოცანა სწორედ ისაა, რომ უმაღლეს ლიგაში დაბრუნება კარგი თამაშით და კარგი შედეგებით აღვნიშნოთ. მკითხველებს ისიც მინდა შევატყობინო, რომ 1974 წლის ჩემპიონატი ოთხ წრედ ჩატარდება. II წრის მატჩები გაიმართება ღლაზოვში 19-28 აპრილს, III წრისა — ტაშკენტში 17-26 მაისს, IV წრისა — კიევში 21-30 იუნისს.

საჭადრაკო კვირა 73

● პორტოროჟი, 19 სექტემბერი. სამი დიდოსტატის მატჩ-ტურნირის მეოთხე, დასკვნითს წრეში ერთმანეთს პირველად ე. გელერი და ლ. პოლუგაევსკი (ორივე — სსრ კავშირი) შეხვდნენ. მძაფრი ბრძოლის შემდეგ მეტოქენი დაზავდნენ. ახლა ლ. პორტიშს (უნგრეთი) 4,5 ქულა აქვს, პოლუგაევსკის — 3, გელერს — 2,5. საბჭოთა დიდოსტატებს პორტიშთან დარჩათ სათამაშო. ამ შეხვედრების შედეგზეა დამოკიდებული, რომელი მათგანი მოიპოვებს პრეტენდენტის საგზურს.

● რიგა, 18 სექტემბერი. აქ სტუმრად მყოფმა იაპონიის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა შეხვედრა გამართა სსრ კავშირის ეროვნულ გუნდთან. მატჩი მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 3:2 (18:16, 15:7, 11:15, 15:8, 15:10).

● სოჭი, 20 სექტემბერი. მ. ჩიგორინის IX მემორიალში XII ტური შედგა. დღეს გაიმარჯვა მხოლოდ ა. ჰენინგსმა (გდრ), რომელმაც ვ. კორენსკის სძლია. ყაიმით დამთავრდა ოთხი შეხვედრა: ბ. სპასკი (ორივე — სსრ კავშირი) — ნ. სპირიდონოვი (ბულგარეთი), ი. სმეიკალი — მ. ფილიპი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), ნ. რაშკოვსკი (სსრ კავშირი) — უ. ანდერსონი (შვეცია), ლ. საბო (უნგრეთი) — ნ. რუკავინა (იუგოსლავია). გადაიდო ი. ტიმან (ჰოლანდია) — რ. ხოლმოვის, მ. ტალ—ა. სუეტინის, ნ. კროგიუს — ი. ბალაშოვის (ხუთივე — სსრ კავშირი) პარტიები. 12 ტურის შემდეგ სპასკის 8,5 ქულა აქვს, ტალს — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

შინმოუსვლელთა თასზე

ამას წინათ სოფელ დოესში ჩატარდა „კოლმეურნის" კასპის რაისაბჭოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში შინმოუსვლელთა სახელობის გარდამავალ თასზე. სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში ცხრა სოფლის მოჭიდავენი მონაწილეობდნენ.

I ადგილი არავის დაუთმეს შეჯიბრების მასპინძლებმა — დოესელებმა. II ადგილი დაიკავეს სოფელ ყარაღაჯის წარმომადგენლებმა, ხოლო III-IV ადგილები გაინაწილეს ლამისყანელმა და მეტეხელმა მოჭიდავეებმა.

ლ. ელისაბედაშვილი.



სიახლე

ის, ვინც ამას წინათ ნატახტარში ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატის მსვლელობას ადევნებდა თვალს, უეჭველად შენიშნავდა ერთ სიახლეს. ინდივიდუალური რბოლის მონაწილენი სტარტს შემაღლებული ბაქანიდან იღებდნენ. ამ ბაქანის დამრეცი ნაწილი ინერციას აძლევს ველოსიპედისტს და მას სტარტზე აღარ სჭირდება დამხმარე.

• • •

სურათზე: ინდივიდუალური რბოლის ერთ-ერთი მონაწილე სტარტზე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

სპორტსმენი ტოვებს სარბიელს

ვალმოხდილი ფალავნის ცრემლი

1971 წელი უიღბლო აღმოჩნდა ზარბეგ ბერიაშვილისთვის. წლების მანძილზე ვერც ერთმა მეტოქემ ვერ შეძლო ის, რაც ერთმა ტრავმამ დამართა. ფალავანი უსალიროდ, მსოფლიო ჩემპიონატი უზარბეგოდ, საკავშირო სპარტაკიადა ბერიაშვილის გარეშე. ეს საოცარი, განსაცვიფრებელი ამბავი იყო. სხვანაირად არ გაგვიგოთ: კარგად გვესმის, რომ სპორტს თავისი რკინის კანონები აქვს, რომ ჟამთა სიავე თვით ყველაზე სახელიან ფალავანსაც აქცევს, რომ ბოლოს და ბოლოს მარადიული ამ ქვეყნად არაფერია. ეს ყველაფერი მართლაც ასეა, მაგრამ, ჭიდაობის სამყარო მაინც გაოგნებული იყო ზარბეგ ბერიაშვილის მოულოდნელი „კაპიტულაციით". საზოგადოდ ასე იყო და ასე იქნება: ვეტერანი სპორტსმენი თანდათანობით თმობს პოზიციებს, ერთ მშვენიერ დღეს სანაქებო ათლეტსაც აღარ შესწევს ძალა ღირსეულად დაიცვას თავისი სპორტული რენომე. და მაშინ თვით მისი ყველაზე თავგამოდებული თაყვანისმცემლებიც კი ბუნებრივად მიიჩნევენ თავიანთი კერპის წასვლას დიდი სარბიელიდან.

ზარბეგ ბერიაშვილს ასე არ დამართნია. ზარბეგი, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, თავისი კარიერის დასასრულს ისევე ყოჩაღად, აზარტულად, მაღალტექნიკურად ჭიდაობდა, როგორც სპორტული გზის დასაწყისში.

დაიხურა კიდევ ერთი დიდი მოჭიდავის სპორტული მატიანე. ძნელია ამაზე ფიქრი, მაგრამ გუშინდელი ფალავანი დღეს უკვე ჭიდაობის ისტორიის კუთვნილებაა. და აი, ნაცვლად იმისა, რომ გაგვეგრძელებინა და აღგვენუსხა სასიქადულო ათლეტის გამარჯვებები, იძულებული ვართ წარსული გავიხსენოთ...

ჭიდაობის სიყვარულით საქართველოში ვის გააკვირვებ. ანდა, ვის გააოცებთ იმით, რომ ჩვენი სამშობლოს რომელიმე კუთხეში ამა თუ იმ ფალავანმა პირველი ნაბიჯები გადადგა. მაგრამ ჩემპიონების ბიოგრაფიის ყოველი დეტალი (გასაგები მიზეზების გამო) სპორტის მოყვარულთათვის მუდამ ზედმიწევნით საინტერესო და საგულისხმოა.

ბერიაშვილის სპორტული ხასიათი ბავშვობაშივე ჩამოიქნა და გამოიძერწა. ზარბეგი დაიბადა და გაიზარდა თბილისის კლასიკურ „საჭიდაო" უბანში — ავჭალაში. გაგიხარიათ, იმ დროს ასეთი უბნები ქალაქში მრავლად იყო. ავჭალა ამ მხრივ არასოდეს ყოფილა ხელწამოსაკრავი. ჭიდაობისადმი სწრაფვა ზარბეგის ბავშვობის დროსაც კი ავჭალის ქუჩაბანდებში დიდზე დიდი ყოფილა. ზარბეგის დროსაც კიო, როცა ვამბობთ, გულისტკივილით გვინდა შევნიშნოთ, რომ ეს ლტოლვა შემდგომში ჯერ საკმაოდ განელდა, ხოლო შემდეგ თითქმის საერთოდ გაქრა. მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ წარსულს. შაბათ-კვირას ავჭალაში ბევრ ადგილას იმართებოდა იმპროვიზებული სანახაობა — ჭიდაობა. საიდან არ მოდიოდნენ ამ ჭეშმარიტი სპორტული ზეიმის საყურებლად. მოდიოდნენ, რათა ენახათ წარმტაცი ეროვნული სანახაობა, კვლავ და კვლავ ეყურებინათ თავიანთი კერპებისთვის და დაკვირვებოდნენ „ახლების" ოსტატობა-ხერხს. შაქრო მუხიაშვილი, დურმიშხან ბერუაშვილი, სულიკო სულაშვილი... ბევრს, ძალიან ბევრს ეუბნება ეს სახელები ქართული ჭიდაობის ქომაგთ. ამ მოჭიდავეებმა და მათმა მეგობრებმა სწორედ ავჭალის ნახერხით მოფენილ სარბიელზე აიდგეს ფეხი. ავჭალის სარბიელს ეტანებოდნენ წილკნელი, საგურამოელი, გლდანელი, მეტეხელი, ძეგველი ფალავნებიც. სად ჰყავდა მაშინ ასეთ იმპროვიზებულ საჭიდაო „ასოციაციას" კვალიფიციური მწვრთნელები, მსაჯები, ერთი სიტყვით, პროფესიონალი მოთავე-ორგანიზატორები. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, თუ გული გულობს...

გაქრა ის წარმტაცი, რომანტიკით მოსილი საჭიდაო სამყარო. ყოფილი ფალავნების შვილები და შვილიშვილები ახლა სპორტის სასახლეში და ტელეეკრანზე უყურებენ ჭიდაობას...

ვიდრე საბოლოოდ „დაიხურავდა ქუდს" და გამოვემშვიდობებოდა, ავჭალის ჭიდაობამ ქართულ საფალავნო სკოლას გამოუზარდა ჩინებულზე ჩინებული ვაჟკაცი, ამ ვაჟკაცში, ჩაქსოვა თითქოს თავისი მრავალწლიანი ისტორია, ყველა თაობის ფალავნის ძალა, ოსტატობა და გამოცდილება. იგი თითქოს თავისებური დელეგატი იყო ამ რომანტიკული საჭიდაო უბნისა. ყველაფერთან ერთად ავჭალის სარბიელმა თავის რჩეულს გამოაყოლა რაინდობა, საკუთარი ღირსების გრძნობა, კაცური კაცობა და კიდევ ბევრი სხვა თვისება.

საგულისხმოა, რომ ზარბეგ ბერიაშვილმა თავისი სპორტული გზა ქართული ჭიდაობით დაიწყო. ბრძენკაცს უთქვამს: სიჭაბუკეში ნატარები დროშის კვალი ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე ატყვია მხრებზეო. ქართული ჭიდაობით დაიწყო ზარბეგმა ძნელი, ხშირად ეკალ-ბარდით მოფენილი საჭიდაო გზა და ბოლომდე ქართველ მოჭიდავედ დარჩა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. სხვათა შორის, პირველივე შეჯიბრება მან ქართულ ჭიდაობაში მოიგო. ეს იყო 1956 წელს თბილისის გარეუბნების მოსწავლეთა პირველობაში. ის, ზარბეგი, პირველად ავჭალის სარბიელზე აღმოაჩინეს. მეორედ „აღმოაჩინეს" იგი მწვრთნელებმა გიორგი ბასიაშვილმა და სპარტაკ ბახტაძემ.

1957 წელს ზარბეგმა ორი გამოცდა ჩააბარა. პირველმა გამოცდამ წარჩინებული მოსწავლე პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტად აქცია. მეორე გამოცდა მან ჩააბარა საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს გიორგი როსტიაშვილს. აქედან იწყება მისი ნამდვილი დაოსტატება, თუ შეიძლება ითქვას, საერთაშორისო თავისუფალ ჭიდაობაში. მწვრთნელსა და მოსწავლეს მოეწონათ ერთმანეთი. განსხვავებული ასაკის მიუხედავად, მათ ბევრი საერთო თვისება აღმოაჩნდათ. შრომისმოყვარეობა, სიჯიუტე, პასუხისმგებლობის ზედმიწევნით განვითარებული გრძნობა და სიმკაცრე. დიახ, სიმკაცრე, სამართლიანი სიმკაცრე, რომელიც უფროსსაც და მოზარდსაც იცავს ზედმეტი ამპარტავნებისგან, ყოყოჩობისგან, მინდობილი საქმისადმი უგულო დამოკიდებულებისგან. ასეთი ხასიათი დაჰყვათ თავიდანვე როსტიაშვილის სხვა აღზრდილებსაც — როსტომ აბაშიძეს, ჯუმბერ ლაილიანიძეს, ნოდარ მოდებაძეს... მხოლოდ ასეთ მოწაფეებს შეუძლიათ ღრმად და საფუძვლიანად ჩაიხედონ გამოცდილი მწვრთნელის „საიდუმლოებით" მოცულ ლაბორატორიაში.

ერთი წლის შემდეგ როსტიაშვილმა ბუდიდან ააფრინა წამოჩიტული ფალავანი. კიევის სტუდენტთა საკავშირო თამაშებში ზარბეგ ბერიაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა და პირველი პრიზი „თვით" გარსევან ნიბიერიძეს დაუთმო. მომდევნო წელს ზარბეგმა პირველად დალაშქრა საკავშირო მასშტაბის შეჯიბრების მწვერვალი — „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი გახდა.



საგულისხმო ფაქტია: არც თავისი კარიერის დასაწყისში, არც მერე, როცა მსოფლიოს საუკეთესო ფალავანი გახდა, ზარბეგს არც ერთი მასშტაბის შეჯიბრებისათვის არ აურიდებია თავი. მას არ ავიწყდებოდა, რომ ყოველი შეჯიბრება, დიდი იქნება, თუ პატარა, საუკეთესო სკოლაა მუდმივი სპორტული მზადყოფნისთვის, ფალავნის ღირსების საქმეა. ზარბეგისთვის უცხოა ამ ბოლო ხანს ფეხმოკიდებული ტრადიცია, როცა ზოგიერთი ძლიერი მოჭიდავე „ცივი გონებით" მარტო საჭიდაო ხალიჩიდან კი არა, შეჯიბრებიდანაც „გარბის".

მართლაც საინტერესო სპორტული ბიოგრაფია აქვს ზარბეგს. იგი თავიდანვე იბრძოდა არა მარტო მეტოქეების, არამედ „ბედისწერის" წინააღმდეგაც. კიდევ კარგი, იმთავითვე ჩემპიონური, რვალივით მტკიცე და უდრეკი ხასიათი დაჰყვა, თორემ მძაფრზე მძაფრი კონკურენცია ბევრ ფალავანს აალებინებდა ხელს პირველობისთვის ბრძოლაზე. თავად განსაჯეთ, უკვე სპორტული გზის დასაწყისში მისი მეტოქეები იყვნენ სერგო გაბარაევი, ანზორ გვიმრაძე, ძმები შენგელიები, ნოდარ ხოხაშვილი და სხვები. აი, ასეთ ფალავნებთან უხდებოდა ჭიდაობა ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა ზარბეგ ბერიაშვილს. 1961 წელს მას საქართველოში თავის წონაში ტოლი არ ჰყავდა.

იმავე წელს ზარბეგი ლენინგრადის საკავშირო ჯუნდური ჩემპიონატის ერთ-ერთი ტრიუმფატორი იყო. ჯუნდური პირველობის დონეზე მან პირველად მოსინჯა ძალა იმ დროის ყველა საუკეთესო ათლეტთან.

თუმცა, ჭაბუკი მოჭიდავის გამოსვლას ლენინგრადის სარბიელზე ძალის მოსინჯვა მხოლოდ პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ. ეს უფრო უცნობი მძლავრი ტალანტის აფეთქებას ჰგავდა, რომელიც არ სცნობს აღიარებულ ავტორიტეტებს და მწვერვალიდან დაგორებული ქვის ინერციით ყველა წინააღმდეგობას სძლევს. ვლადიმერ სინიავსკი, ალიმბეკ ბესტაევი, რობერტ ჯღამაძე, იური გუსოვი... თითოეული ამ მოჭიდავეთაგანი თვალსაჩინო ფიგურაა საბჭოთა ჭიდაობაში. ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო გამკლავებოდა ქართული ჭიდაობის ამომავალ ვარსკვლავს.

შეუძლებელია ფაქტიურად ახალბედა ფალავნის ასეთი გაუგონარი წარმატება მხოლოდ უჩვეულო ნიჭითა და, თუ გნებავთ, ოსტატობით აიხსნას. ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი ხშირად წლობით ჭიანურდება, ზარბეგმა კი უცებ გადაახტა ამ ზღვარს, ადრევე გამოიჩინა ჭეშმარიტად მამაკაცური, დამჯდარი, მტკიცე ხასიათი.

ამ მამაკაცურმა ხასიათმა ძალუმად იჩინა თავი 1962 წელს ორჯონიკიძის საკავშირო ჩემპიონატში. პირველი შეხვედრა — პირველი დამარცხება, დამარცხება, თანაც წმინდად. ასეთი უიღბლო დასაწყისი წონასწორობიდან გამოიყვანდა ზარბეგზე ბევრად გამოცდილ ფალავნებსაც. მით უმეტეს, რომ მელოდებოდა „ლენინგრადის სიმფონია". სინიავსკი, ჯღამაძე, გუსოვი, ბესტაევი... როგორ ფიქრობთ, რა გამოსავალი მოძებნა ბერიაშვილმა? — ურთულესი, მაგრამ ერთადერთი გამოსავალი: ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო! ასეთ ვა-ბანკზე მარტო ოსტატობის იმედით ვერ წახვალ.

ბოლოს თბილისმაც ნახა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი ფალავანი. თბილისის პირველ საერთაშორისო ტურნირში სოლიდური საერთაშორისო „კომპანიით" გარშემორტყმული მოჭიდავისგან ჩვენი სპორტის მოყვარულები მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვდნენ. ორმაგად ძნელია, როცა სპორტული და მორალური თვალსაზრისით უფლება არა გაქვს არ მოიგო. ბერიაშვილმა საუცხოოდ გაართვა თავი ამ ამოცანას. სხვათა შორის, საქართველოში იგი ერთხელაც არ უნახავთ დამარცხებული...

ახლა ბერიაშვილი უფრო დიდი მდინარეებისკენ მიილტვის. მას, როგორც იტყვიან, თვით ეშმაკისაც აღარ ეშინია. საბჭოთა კავშირისა და ხალხთა III საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, სოფიის მსოფლიო პირველობის ხალიჩაზე გამოდის. ბედი არ გინდა, ჯერ იყო და საკავშირო შეჯიბრებებში ჭაბუკს რამდენიმე თაობის სახელოვანი ფალავნები უკეტავდნენ გზას, ახლა სოფიაში შეხვდა ყველა „ძლიერი ამა ქვეყნისა". ესენი იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონი — ბულგარელი ენიო ვილჩევი, მსოფლიო ჩემპიონი — თურქი მაჰმუდ ათალაი, სხვანი და სხვანი. იბრძოლა, იჭიდავა, ცდა არ დაუკლია და, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, ყველა დაბრკოლება დაძლია. არც ფინალი ჩაუტარებია ურიგოდ, მაგრამ იაპონელი ხარიუჩი მასზე ძლიერი აღმოჩნდა. არა, გული არც დასწყვეტია, არც გასტეხია. მუდამ აფასებდა ღირსეულ მეტოქეს და არასდროს ავიწყდებოდა ბრძნული ანდაზა: მჯობნის მჯობნი არ დაილევაო. გული სხვა შემთხვევამ დასწყვიტა, როცა რამდენიმე წლის შემდეგ უკვე ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატების მეორე პრიზიორი, ინდოეთის დედაქალაქში სამყაროს საუკეთესო ფალავანთა ფორუმში მონაწილეობდა. აქ ის მცირე ხნით იყო ჩემპიონი. დიახ, სპორტში ზოგჯერ, სამწუხაროდ, ასეც ხდება. საქმე ასე იყო: გადამწყვეტი შეხვედრა ზარბეგს თავის ძველისძველ მეტოქესთან, ირანელ მოვაჰედთან ჰქონდა. ფრე ხელს აძლევდა და არც გასჭირვებია მისი მოპოვება. სასწრაფოდ „აკურთხეს" მსოფლიო ჩემპიონად, ღირსეულ ჩემპიონად. თურმე მერე დაიწყო, რაც დაიწყო. მსაჯთა კოლეგიამ გადასინჯა ოქროს მედლის სხვა მაძიებელთა შეხვედრების შედეგები, შემდეგ წარმოუდგენელი ქაოსი წარმოიშვა სატურნირო ცხრილში, რის შედეგადაც კანონიერი მსოფლიო ჩემპიონი უბრძოლველად... II ადგილზე აღმოჩნდა. აქ, როგორც იტყვიან, უკვე „ზეციური" ძალები იყო ჩარეული და ჩვეულებრივი მოკვდავი ვერაფერს გახდებოდა.

ორი წელი დასჭირდა ბერიაშვილს, რათა მსაჯთა ეს საბედისწერო შეცდომა გამოესწორებინა. რა მოხდა არგენტინის საკურორტო ქალაქ მარ-დელ-პლატაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში? საყურადღებოა, რომ წინა მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მთავარ კონკურენტს თითქოს ძალა გამოელია და მარ-დელ-პლატაში სასახელოდ არც ერთი არ ჩამოსულა. ბერიაშვილისთვის სერიოზული წინააღმდეგობა აღარავის გაუწევია და მან „დაუბრკოლებლად" მოიპოვა ჩემპიონის დაფნის გვირგვინი. ადვილი სათქმელია — „დაუბრკოლებლად". აბა, რომელი მსოფლიო ჩემპიონატია იოლი? უბრალოდ, ამ დროისთვის ბერიაშვილი ოსტატობით იმდენად მაღლა იდგა დანარჩენ მეტოქეებზე, რომ მასთან გამკლავება არც ერთს არ შეეძლო. ეს იყო, აგრეთვე, ერთგვარი რეაბილიტაცია წინა მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებში წარუმატებელი გამოსვლებისთვის.

მან ბევრი იჭიდავა, ბევრის გაკეთება მოასწრო: პირველმა, არც თუ გოლიათური აღნაგობის მსუბუქი წონის ფალავანმა, საბჭოთა კავშირის შვიდგზის ჩემპიონმა, ევროპის პირველობათა ოთხგზის ტრიუმფატორმა, მსოფლიო ჩემპიონატების სამგზის მეორე პრიზიორმა და ბოლოს დაღვინების ასაკში, სამყაროს სწორუპოვარმა მოჭიდავემ, იაპონიის ღია ჩემპიონატის გვირგვინოსანმა, თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირების ხუთგზის ჩემპიონმა, ურიცხვ დიდ და პატარა საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებულმა. მას კიდევ უნდოდა ჭიდაობა, ბრწყინვალე ოსტატობასთან ერთად ძალაც ძველებურად ერჩოდა. მისთვის, ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცისთვის, წარმოუდგენლად მტკივნეული იყო საჭიდაო ხალიჩის მიტოვება. იგი საზეიმოდ გააცილა სპორტის სასახლეში თავმოყრილმა ურიცხვმა ჭიდაობის ტრფიალმა. ეს იყო 1973 წელს, თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის დღეებში. ტაშის გრიალი, გულთბილი სიტყვები, ზღვა ყვავილები, საჩუქრები, მისკენ სიყვარულით და მადლიერებით გაწვდილი ხელები... ღიმილი გადაჰფენოდა სახეზე ვალმოხდილ ფალავანს. მაგრამ ის მაყურებლები, რომლებიც ახლოს ისხდნენ სასახლის სარბიელთან, ღიმილთან ერთად უთუოდ შენიშნავდნენ ზარბეგ ბერიაშვილის ცრემლიან თვალებსაც.

ა. გოგელია.

„ლელო" წერილების კვალდაკვალ

„რას გვიპასუხებს ტრესტის ხელმძღვანელობა?"

„ლელოს" 8 სექტემბრის ნომერში ასეთი სათაურით გამოქვეყნდა წერილი, რომელიც ეხებოდა გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობისთვის ხარჯების გაღების საკითხს. ამ წერილის თაობაზე საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველმა რ. ბზიშვილმა შეგვატყობინა:

„გურჯაანის რაიონის შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ მუშათა კომიტეტთან შეთანხმებით სოციალ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდიდან ხარჯთაღრიცხვით ფიზკულტურული ღონისძიებებისთვის გარკვეული სახსრები გამოყო.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებულ თანხებს მეურნეობაში არადანიშნულებისამებრ იყენებდნენ, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ. ტრესტმა მეურნეობის ხელმძღვანელობას აუკრძალა უკანონო ხარჯების გაწევა.

არსებული წესების შესაბამისად, ტრესტი არ უკრძალავს მეურნეობას სოციალ-კულტურული და სპორტული ღონისძიებებისთვის გათვალისწინებული ხარჯების მიზნობრივად გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ პარტიული კომიტეტის მდივან ჩხეტიანისა და მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ბერიკაშვილის წერილი უზუსტობას შეიცავს, რამდენადაც ზემოაღნიშნულ ხარჯთაღრიცხვებს ტრესტი კი არ ამტკიცებს, არამედ მეურნეობის დირექტორი მუშათა კომიტეტთან თანხმობით.

ამრიგად, აღნიშნული ხარჯთაღრიცხვა ტრესტის მიერ არ არის დამტკიცებული. რაც შეეხება მის შეზღუდვას, იგი გავრცელდა მხოლოდ უკანონო ხარჯების მიმართ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოლდავეთის სსრ. დაბა დნესტროვსკის მახლობლად მოეწყო საკავშირო შეჯიბრება წყალსამოტორო სპორტში. სარბიელზე გამოვიდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენები.

ამ შეჯიბრებაში წარმატება მოიპოვა ბელორუსიელმა მრბოლელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, სსრ კავშირის ჩემპიონმა გ. ჩერნენკომ. 5 მილზე მან 68,6 კმ სისწრაფე განავითარა, რითაც შარშან დამყარებული თავისივე მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა.

• • •

სურათზე: რბოლის დისტანციაზე.

ე. დრაიშნერის ფოტო, (საქდესი).

1973

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების ცხრილი

I ლიგა

მდგომარეობა 20 სექტემბრისთვის

	თ.	მ.ძ.	მ. პ.	წ.	ბ.	ქ.
„ნისტრუ" (კიშინიოვი)	30	20	2	8	73—44(58—27)	42
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	29	19	2	8	75—37(62—28)	40
„ნეფთჩი" (ბაქო)	29	16	3	10	80—62(49—28)	35
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	28	14	5	9	68—54(34—27)	33
„მეტალურგი" (ლიპეცკი)	28	12	5	11	77—64(30—21)	29
„შინიკი" (იაროსლავლი)	29	13	2	14	59—55(35—26)	28
„ტორპედო" (ქუთაისი)	29	13	2	14	53—55(33—36)	28
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	29	12	3	14	58—60(35—36)	27
„მეტალურგი" (ზაპოროჟიე)	29	11	4	14	75—69(43—38)	26
„ზვეზდა" (პერმი)	30	11	3	16	62—65(37—38)	25
„კუზბასი" (კემეროვო)	30	11	2	17	69—78(33—36)	24
„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო)	29	10	4	15	61—63(31—36)	24
„სპარტაკი" (ნალჩიკი)	29	9	6	14	61—67(29—43)	24
„პამირი" (დუშანბე)	29	10	2	17	55—56(37—35)	22
„სტროიტელი" (აშხაბადი)	29	10	2	17	52—64(36—47)	22
„სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი)	30	9	4	17	60—75(31—48)	22
„სპარტაკი" (ორჯონიკიძე)	29	9	3	17	49—63(24—37)	21
„შახტიორი" (ყარაგანდა)	28	8	4	16	60—72(30—42)	20
„მეტალისტი" (ხარკოვი)	30	8	4	18	62—76(25—40)	20
„ალგა" (ფრუნზე)	29	3	1	25	50—80(19—42)	7

გათამაშების ცხრილი

II ლიგა IV ზონა

მდგომარეობა 20 სექტემბრისთვის

	თ.	მ.ძ.	მ.პ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (კოსტრომა)	26	17	3	6	72—36(47—20)	37
„ლოკომოტივი" (კალუგა)	26	15	5	6	69—49(39—23)	35
„დინამო" (ვოლოგდა)	25	14	4	7	64—42(34—17)	32
„ზვეზდა" (ტირასპოლი)	25	15	0	10	48—37(36—22)	30
„ტორპედო" (ვლადიმირი)	25	13	2	10	63—41(47—25)	28
„ვოლგა" (გორკი)	25	11	3	11	68—54(39—24)	25
„ტრუდი" (ვორონეჟი)	26	12	0	14	45—44(35—30)	24
„მერცხალი" (მახარაძე)	26	10	4	12	63—61(29—30)	24
„სპარტაკი" (რიაზანი)	25	11	0	14	42—44(36—37)	22
„დილა" (გორი)	27	11	0	16	41—50(34—41)	22
„დინამო" (ბათუმი)	27	9	1	17	50—58(29—35)	19
„სატურნი" (რიბინსკი)	27	7	4	16	50—56(25—38)	18
„გურია" (ლანჩხუთი)	25	7	4	14	60—70(28—41)	18
„კოლხეთი" (ფოთი)	25	7	4	14	54—67(22—37)	18
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	26	8	2	16	45—70(24—46)	18
„დინამო" (სოხუმი)	25	6	5	14	47—58(20—35)	17
„დინამო" (ბრიანსკი)	26	7	2	17	53—60(31—36)	16
„რევტრუდი" (ტამბოვი)	24	7	1	16	38—59(23—41)	15

სიახლე „სპორტლოტოში"

10 ოქტომბრიდან დაიწყება სპორტული ლატარიის ახალი ბილეთების — „სპორტლოტო-2"-ის გამოშვება. „სპორტლოტო-2" ისეთივე წესით ტარდება, როგორითაც მისი წინამორბედი, ოღონდ ახლა მოთამაშენი ნომრებს უკვე ორი ტირაჟის შედეგების მიხედვით შეამოწმებენ. ტირაჟები ისევ ყოველი თვის 10, 20 და 30 რიცხვში მოეწყობა. ახლა ლატარიის მონაწილეებს გამარჯვების მეტი შანსი აქვთ, რადგან ერთდროულად შეიძლება ორ ტირაჟში გაუღიმოთ ბედმა.

„სპორტლოტო-2"-ის ბილეთები 60 კაპიკი ღირს.

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:0. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

მასპინძლებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს, თუმცა თამაშის მსვლელობაში მათ დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ. ეს გოლი 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა მაღრაძემ.

ორმხრივი უხეშობისთვის გაფრთხილება მიეცათ ქობულეთელ ლ. დიკს და ჭიათურელ თ. ცუცქირიძეს.

● „მეშახტე" (ტყიბული) — „მარტვილი" (გეგეჭკორი) 1:2. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

ანგარიში გახსნა გეგეჭკორელმა ოდიშარიამ, ხოლო მასპინძლებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ გაქვითეს გოლი (ლორთქიფანიძე). მატჩის მიწურულს „მეშახტის" კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა დანელიამ.

● „მეტალურგი" (რუსთავი) — „სულორი" (ვანი) 3:1. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ, 70-ე წუთისთვის კი აგერინმა და ღოღობერიძემ დააწინაურეს მეტალურგები. მალე კიკაბიძემ გაქვითა ერთი ბურთი, მაგრამ მიქაშავიძემ კვლავ აღადგინა სხვაობა „მეტალურგის" სასარგებლოდ.

გაფრთხილება მიიღეს ვანელმა ფეხბურთელებმა რ. კიკაბიძემ და ა. ოქროპირაშვილმა.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 3:1. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

პირველ წარმატებას ამ მატჩში მიაღწიეს ზესტაფონელებმა (ქათამაძე). შემდგომში ინიციატივას მთლიანად მასპინძლები დაეუფლნენ და „მეტალურგის" კარში 3 ბურთი გავიდა დარასელიას, ხურციასა და ინჯგიას დარტყმების შედეგად.

● „კოლხეთი" (ხობი) — „სამცხე" (ახუური) 1:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

88-ე წუთზე ახუურელთა კარში დაინიშნა პენალტი. იგი ზუსტად გამოიყენა გვასალიამ.

ხულიგნური საქციელისთვის მინდვრიდან გაძევებულ იქნა „სამცხის" მეკარე ა. ღავთაძე, ხობელმა ა. ჯოჯუამ კი გაფრთხილება მიიღო.

● ასკ (თბილისი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 0:0. მსაჯი თ. ერემლიძე (ტყიბული).

● „ალაზანი" (გურჯაანი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 1:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

გოლი „ლოკომოტივის" კარში გაიტანა მღებრიშვილმა. II ტაიმში სტუმრებს შეეძლოთ თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის, მაგრამ დუდაროვმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა.

II ჯგუფი

I ზონა

„ყინწვისი" (ქარელი) — „დურუჯი" (ყვარელი) 4:0, „მესხეთი" (ახალციხე) — „განთიადი" (ბორჯომი) 2:2, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „რუბეროიდი" (გარდაბანი) 1:1, „შევარდენი" (თბილისი) — „ვაზი" (შრომა, გურჯაანი) 2:1.

II ზონა

„მზიური" (გალი) — „განახლება" (ადიგენი) 4:1, „ფეიქარი" (ქუთაისი) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 4:1, „კოლმეურნე" (აბაშა) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1:2, „ჩიხურა" (საჩხერე) — „კოლმეურნე" (წულუკიძე) 0:1, „დიოსკურია" (სოხუმი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 0:3.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 20 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურგი" (რუსთავი)	24	13	9	2	38—15	35
„დინამო"	19	13	5	1	39—15	31
ფიზკ. ინსტ.	22	12	6	4	38—19	30
„კოლხეთი"	24	8	10	6	29—23	26
ასკ	21	9	7	5	38—23	25
„მეშახტე"	23	8	8	7	35—32	24
„ქართლი"	24	8	8	8	39—39	24
„შუქურა"	22	8	7	7	31—26	23
„კახეთი"	21	9	5	7	30—29	23
„ეგრისი"	22	8	6	8	34—31	22
„მაღაროელი"	23	8	6	9	28—27	22
„სულორი"	23	5	12	6	29—33	22
„მეტალურგი" (ზესტაფონი)	24	6	8	10	37—36	20
„ივერია"	23	6	8	9	27—38	20
„ლოკომოტ."	24	5	8	11	26—36	18
„მარტვილ."	24	5	6	13	16—40	16
„სამცხე"	24	5	5	14	33—51	15
„ალაზანი"	23	5	4	14	28—62	14

სამაგალითო და მისაბაძი

ახლახან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ მიიღო დადგენილება წითელი წყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ინიციატივის გამო. კოლეგიაზე აღინიშნა, რომ ზემო ქედის კოლმეურნეობის ფიზკულტურის კოლექტივი (ფიზსაბჭოს თავმჯდომარე მ. გიგაური) ერთ-ერთი მოწინავეა წითელი წყაროს რაიონში. კოლმეურნეობამ ხუთწლიანი გეგმის მესამე გადამწყვეტი წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში აღებული ვალდებულებები გადაჭარბებით შეასრულა.

ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა.

წლეულს, აპრილის თვეში, ზემოქედელებმა კოლმეურნეობის საერთო კრებაზე იმსჯელეს გაზეთ „ლელოს" 1 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ საქართველოს სპორტული მოძრაობის მოწინავე წარმომადგენელთა წერილზე „ჩვენი გულის ნათქვამი", კრებაზე გადაწყდა ფართოდ დანერგონ, აგიტაცია და პროპაგანდა გაუწიონ ფიზკულტურასა და სპორტს სოფლად. კოლმეურნეებმა პირობა დადეს, რომ კეთილმოაწყობენ არსებულ სპორტულ ბაზებს, 1974 წელს ააგებენ კულტურის სახლსა და სპორტის სასახლეს, საცურაო აუზს, ქსნელების უბანში მოაწყობენ კომპლექსურ მოედანს, მოამზადებენ მშდ კომპლექსის 90 ნიშნოსანს, 62 მოზარდთა თანრიგის, 48 მესამე, 30 მეორე და 5 პირველი თანრიგის სპორტსმენს. კრებაზე ითქვა, რომ 35 სპორტსმენი რაიონის ნაკრები გუნდის ღირსებას დაიცავს რესპუბლიკის პირველობებში, ყოველწლიურად მოაწყობენ კოლმეურნეობის დამაარსებლისა და სპორტის დიდი ქომაგის, კობა ჩოხელის სახელობის პრიზის გათამაშებას ქართულ ჭიდაობაში, 2800 მანეთი გამოიყოფა სპორტული ფორმებისა და ინვენტარის შესაძენად.

ზემოქედელები პირნათლად ასრულებენ ამ ვალდებულებებს. დღეისთვის კოლმეურნეობის გამგეობამ 1 მილიონი მანეთი გადარიცხა კულტურის სახლისა და სპორტის სასახლის ასაგებად, მშენებლობა უკვე დაწყებულია სოფლის ცენტრში და 1974 წლის ბოლოსთვის უნდა დამთავრდეს. მალე მწყობრში ჩადგება საცურაო აუზი და ბავშვთა საჭყუმპალაო, ქსნელების უბანში მოწყობილია ფრენბურთის მოედანი, უახლოეს ხანში კი სახტომ ორმოებსა და ტყორცნის სექტორებსაც გააკეთებენ. ამჟამად მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში ჩაბმულია 150 კაცი, აქედან უკვე ყველა ნორმატივი ჩაბარა 45-მა, 26-მა — ოქროს სამკერდე ნიშანზე, დანარჩენებსაც ნორმატივები თითქმის ყველა სახეობაში აქვთ ჩაბარებული, გარდა ცურვისა (ამ სახეობაში მეზობელი სოფლის — ჯაფარიძის ტბაზე ეწყობა შეჯიბრებები). 1972 წლის შედეგებით, ზემო ქედის ფიზკულტურის კოლექტივმა წითელი წყაროს რაიონში მშდ ახალი საკავშირო კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა.

უკვე მოამზადეს 46 მოზარდთა თანრიგის სპორტსმენი, 30 მეორეთანრიგოსანი, 40 მესამეთანრიგოსანი, ხუთი პირველთანრიგოსანი.

კოლეგიამ აღნიშნა ისიც, რომ ზემო ქედის საჭიდაო ოთახი მოითხოვს შეკეთებას. ქსნელების უბანში, ფრენბურთის მოედნის გარდა, უნდა მოეწყოს საჭიდაო სარბიელი და კალათბურთის მოედანი, ბავშვთა საჭყუმპალაოს წყლის გასაშვები უნდა გაუკეთდეს, ფეხბურთის მინდორი შემოიღობოს და აშენდეს ტრიბუნები მაყურებლებისთვის.

ზემოქედელებს გადაწყვეტილი აქვთ წლის ბოლომდე დარჩენილ დროში გადაჭარბებით შეასრულონ ნაკისრი ვალდებულების ყველა პუნქტი.

წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვს კოლმეურნეობის გამგეობას (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი ა. კობაიძე) პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით.

მ ე ს ა მ ე დ!

ამას წინათ თბილისში დაიწყო ჭადრაკის სასახლის III პირველობის ნახევარფინალი. შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით (9 ტური) ტარდება, 54 მოჭადრაკე მონაწილეობს. ბრძოლაში ჩაება ერთი ოსტატი (თ. ხუგაშვილი), 16 ოსტატობის კანდიდატი და 37 პირველთანრიგოსანი. ფინალში მონაწილეობას მიიღებენ ამ ნახევარფინალში I-VII ადგილებზე გასულნი, სასახლის შარშანდელი პირველობის სამი პრიზიორი (ოსტატი ე. უბილავა, ოსტატობის კანდიდატები გ. ბიბილაშვილი, ზ. მიქაძე) და მოწვეული ოსტატები. ჩემპიონი საქართველოს 1974 წლის პირველობაში ითამაშებს.

3 ტურის შემდეგ ლიდერობენ თ. გვარჯალაძე, დ. გედევანიშვილი, ვ. პეტუხოვი — 3-3 ქულა.

ტურნირი 3 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

ზ. ფაშილიანტი,
ნახევარფინალის მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

მოკლედ

● **მადრიდი.** ცნობილი მალიელი ფეხბურთელი კეიტა, რომელიც მარსელის „ოლიმპიკში" თამაშობდა, „ვალენსიაში" გადავიდა. ამას გარდა, არგენტინის ჩემპიონ „სან-ლორენცოს" ორი წამყვანი მოთამაშე — აიალა და ჰერედია ჩაირიცხნენ მადრიდის „ატლეტიკოში".

● **რომი.** ცნობილი ცენტრალური მცველი როსატო „მილანიდან" გადავიდა „ჯენოვაში", ხოლო ნახევარმცველი დომენგინი „კალიარიდან" — „რომაში".

● **ბელგრადი.** იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს ცნობილი სპეციალისტი პ. დავკოვი.

● **მადრიდი.** 50 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი სპეციალისტი, ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ხოსე ვილიალონგა.

ახალი შეჯიბრება

უეფა-ს აღმასკომმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ამიერიდან სისტემატურად მოეწყობა შეხვედრები ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასში გამარჯვებულ გუნდებს შორის. გამარჯვებულს გადაეცემა სათანადო დიპლომი.

„აიაქსი" (ჩემპიონთა თასის მფლობელი) და „მილანი" (თასების მფლობელთა თასის ახლანდელი მეპატრონე) შეთანხმდნენ, რომ პირველი ასეთი მატჩი გაიმართება 9 იანვარს მილანში, ხოლო მეორე — 16 იანვარს — ამსტერდამში.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

არ ივიწყებენ

როგორც ცნობილია, 7 წლის წინ ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა ანგარიშით 1:0 დაამარცხა იტალიის ნაკრები. ეს იყო უდიდესი სენსაცია ფეხბურთის სამყაროში.

ამ პირველი ნაცნობობის მოსაგონრად კორეელები და იტალიელები შეთანხმდნენ კიდევ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და, ორივეჯერ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მატჩები გაიმართება გაისად 7 და 10 მარტს.

ევროპაში ვერ ითამაშებს

არგენტინის ცნობილ კლუბს „ბოკა ხუნიორსს" ევროპაში თამაშის უფლება ჩამოერთვა. ეს მოხდა ფიფა-ს სადისციპლინო კომისიის დადგენილებით. საქმე ისაა, რომ „ბოკა ხუნიორსი" შეუთანხმდა ათენის კლუბ „პანათინაიკოსს" საერთაშორისო ამხანაგური მატჩის შესახებ და გამოართვა 10 ათასი დოლარი.

მაგრამ არგენტინელები ათენში არ ჩასულან და, ასე ვთქვათ, ფული მიითვისეს. ამიტომ ფიფა-მ „ბოკა ხუნიორსი" მკაცრად დასაჯა. მან წაღებული ფული „პანათინაიკოსს" უკან უნდა დაუბრუნოს და ამას გარდა ფიფა-ს ჯარიმის სახით 5.000 დოლარი გადაუხადოს.

კრუიფი „ბარსელონაში" გადავა

ხანგრძლივი დავა და მოლაპარაკება კრუიფის გარშემო, რომელშიც მონაწილეობდნენ „ბარსელონა", „აიაქსი", ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაცია და თვით კრუიფი, დამთავრდა. გამოცხადდა, რომ კრუიფი „ბარსელონაში" გადავა 1 დეკემბრიდან, როდესაც ჰოლანდიაში იწყება ე. წ. „მეორე ტრანსფერული პერიოდი", ამასთან გაპირობებულია, რომ „ბარსელონა" კრუიფს გაათავისუფლებს არა მარტო მსოფლიო პირველობის შესარჩევი თამაშების, არამედ ნაკრების ამხანაგური მატჩების დროსაც.

„ბარსელონას" ახლანდელი მწვრთნელი მიხელსი ადრე „აიაქსს" ედგა სათავეში და გარკვეული წვლილი მიუძღვის კრუიფის დაწინაურების საქმეში.

9 გაფრთხილება

ავსტრიის ნაკრების ფეხბურთელი სტარეკი ცნობილია უაღრესად თავშეუკავებელი ხასიათით. იგი წამდაუწუმ ეკამათება მსაჯებს, უკმაყოფილებას გამოთქვამს მათი გადაწყვეტილებების გამო.

ავსტრიის 1972-73 წლების ჩემპიონატში სტარეკმა მიიღო 9 გაფრთხილება, რაც უმაგალითო ამბავია ამ ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში.

ვერაფერი საჩუქარია...

იტალიის ჩემპიონატი, რომელიც ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს, იწყება 7 ოქტომბერს. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ჯერ კიდევ აგვისტოში გამოაცხადა, რომ ბილეთები ძვირდება 20 პროცენტით. ეს ვერაფერი საჩუქარია მრავალრიცხოვანი გულშემატკივრებისთვის. ისინი აღშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მათი ინტერესები კლუბის მეპატრონეთა გამდიდრებას ეწირება.

კიდევ ერთი ლიგა

კიდევ ერთმა აზიურმა ქვეყანამ — სინგაპურმა გადაწყვიტა შექმნას პროფესიული ლიგა, რომელშიც 8 გუნდი ითამაშებს. ეს გუნდები, რომლებშიც არაერთი უცხოელი გამოდის, ერთმანეთს 4-4-ჯერ შეხვდებიან. სინგაპურის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა ხშირად მიიწვიოს უცხოური გუნდები და უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრებაში.

ერთხმად...

ავსტრიის 1973-74 წლების ჩემპიონატის დაწყებისას 16 ცნობილ სპორტულ მიმომხილველს დაეგზავნა ანკეტა ერთადერთი შეკითხვით: „ვინ გახდება რესპუბლიკის ჩემპიონი"?

16 სპეციალისტმა ერთიდაიგივე გუნდი დაასახელა — ახლანდელი ჩემპიონი „სვაროვსკი-ვაკერი" (ინსბრუკი).

25 სექტემბერს — ეუსებიოს იუბილე

იმასთან დაკავშირებით, რომ ეუსებიოს შეუსრულდა „ბენფიკაში" თამაშის 15 წელი, კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მოაწყოს ამ ფეხბურთელის იუბილე. ეს იუბილე ადრე უნდა აღნიშნულიყო, მაგრამ თვით ეუსებიოს ტრავმის გამო გადაიდო 25 სექტემბრისთვის.

ამ დღეს ლისაბონში „ბენფიკა" ეთამაშება მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელთაგან შემდგარ ნაკრებს. უკვე გამოცხადდა, რომ მატჩში მონაწილეობაზე დათანხმდნენ კრუიფი, კაიზერი, ბლანკენბურგი, ისრაელი (ყველა — ჰოლანდიიდან), მური, მაკფარლანდი, ბენქსი (ინგლისი), ბეკენბაუერი, მიულერი, ნეცერი (გფრ), ჯონსტონი (შოტლანდია), ალტაფინი, ფაკეტი, რივა (იტალია), ჯაიჩი, სტეპანოვიჩი, ბაევიჩი (იუგოსლავია), პელე, ჟაირზინიო, რიველინო (ბრაზილია).

იტალიელთა იმედი

ცურვაში იტალიის „ვარსკვლავს" ნ. კალიგარისს 27 დეკემბერს 19 წელი შეუსრულდება. ამ საშუალო ტანის (168 სმ) ქალიშვილმა, რომელიც მხოლოდ 48 კილოგრამს იწონის, ცისფერ ბილიკებზე უკვე ბევრი გამარჯვების მოპოვება მოასწრო. შარშან მან თავისუფალი სტილით 400 (4.22,44), 800 (8.57,46) და 1500 მეტრზე (17.18,48), აგრეთვე, 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (5.08,99) ევროპის რეკორდები დაამყარა, მიუნხენის ოლიმპიადაში კი ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

კალიგარისმა ამას წინათ ბელგრადში, „ტაშმაიდანის" აუზში გამართულ მოცურავეთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატში 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ევროპის რეკორდი გააუმჯობესა (4.21,79) და ვერცხლის მედალი მოიგო, 800 მეტრზე ასპარეზობაში კი ოქრო მოიხვეჭა და ამერიკელი ჯ. როტჰამერის მიერ შარშან დამყარებული მსოფლიო რეკორდი 0,7 წამით გააუმჯობესა — 8.52,97.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. კალიგარისი გაცურვის შემდეგ.

„ერმიტაჟის" პავილიონში

გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცს" ტრადიციად აქვს მოჭადრაკე ქალთა ბლიცტურნირის ჩატარება. წლევანდელ შეჯიბრებაში ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. მოსკოველ ოსტატებს ო. კაცკოვას, ტ. ტიტორენკოს, ლ. ბელავენეცს, ტურნირში მოთამაშე ოსტატობის კანდიდატებს შეუერთდნენ მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი ა. კუშნირი, საზონათშორისო ტურნირის მონაწილენი — სსრ კავშირის ჩემპიონი მ. შული, ნ. ალექსანდრია, ჟ. ზატულოვსკაია და ი. ლევიტინა.

საინტერესო ბრძოლას, რომელიც „ერმიტაჟის" პავილიონში მიმდინარეობდა, დიდძალი მაყურებელი დაესწრო. პრიზი — ბროლის დიდი ლარნაკი — ხვდა ბელავენეცს. II-III ადგილები გაიყვეს ალექსანდრიამ და ნ. სტერნინამ. IV ადგილზეა მ. შული, V-VI ადგილები გაიყვეს კუშნირმა და ლევიტინამ. ზატულოვსკაიამ VIII-IX ადგილები გაინაწილა.

ახალი დიდოსტატი

ამას წინათ ვარშავაში მუშაობა დაამთავრა მიწერ-მოწერით თამაშის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირში წარმატებისთვის კონგრესმა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა ი. მოროზოვს (გორკი), საერთაშორისო ოსტატისა — ა. ზილბერბერგს (ოდესა).

პირველი თასი

მიწერ-მოწერით თამაშის საერთაშორისო ფედერაციამ დააწესა ფედერაციის თასი, რომელიც პერიოდულად გათამაშდება. პირველი პრიზისთვის ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებს ოთხი კონტინენტის 15 მოჭადრაკე. ესენი არიან: სახაროვი, ხრენოვი, ჟიშნიაკოვი, სტრაუტინში (ყველა — სსრ კავშირი), უმანი, ანდერსონი (ორივე — შვეცია), ლიზანი (ჩეხოსლოვაკია), მიური (აშშ), შეტცელი, რუპი (ორივე — ავსტრია), სიმენი (ავსტრალია), მედერი (გფრ), სოკოლოვსკი (პოლონეთი), პაკდამანი (ირანი) და ფლეისტედი (დანია).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 380096, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. ეე 12846